ხელშეკრულება №8

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი მაისი 2022 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ ქუთაისის # 6 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ.შ. დიმიტრი ქარსელაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ორგსერვისი“ ,(შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ხვიჩა ნემსაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სხვადასხვა საოფისე მოწყობილობის და საკანცელარიო ნივთებისCPVკოდით:22852000,22852100,37533200,35123400,35821000,44424200,31024400,30192123,30192130,30192125,30140000,30192160,30197120,30131100,30197630,30197300 შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში,

1.3. რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 243.55 (ორასორმოცდასამი) ლარი და 55 თეთრი.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. ქუთაისი ჩანჩიბაძის ქ. #12).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ ქალაქ ქუთაისის # 6 საჯარო სკოლა ს/კ 212808069 მის: ქ. ქუთაისი ჩანჩიბაძის ქ. # 12 ტელ: 0431240894 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE17TB7791136080100003 **დირექტორის მ.შ. დიმიტრი ქარსელაძე** ---------- (ხელმოწერა) გ.ა	შპს ,,ორგსერვისი” მის.:ქ.ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ51/2ა ს/კ 212693851 ტელ. 032 204 11 00 ს/ს პროკრედიტ ბანკი“ ბანკის კოდი MIBGE22 ა/ა GE28PC0133600100067722 **დირექტორი ხვიჩა ნემსაძე** ---------- (ხელმოწერა)

Khvicha Nemsadze 62004014898

Digitally signed by Khvicha Nemsadze
Date: 2022.05.11 18:24:25

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. 1. შესყიდვის ობიექტია:

#	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	ცარცი თეთრი Dolphin 10ც	კოლოფი	20	1.90	38.00
2	ფაილი პლასტ. PAPIRUS ECONOMIX A4, 40მკრ. 100ცალი 31107	შეკვრა	4	7,60	30.40
3	კალამი ბურთულიანი PAPIRUS ECONOMIX 10248 Jungle ზეთოვანი	ცალი	10	0,30	3.00
4	კალამი ბურთულიანი UNIMAX, Trio Neon DC, UX-107-02, blue	ცალი	10	0,70	7.00
5	ფანქარი უბრალო AXENT 9010/36-A HB Pastelini	ცალი	10	0.40	4.00
6	სტეპლერის სკობი AXENT 4311-A 10/5, 1000ც	კოლოფი	5	0,50	2.50
7	სწრაფჩამკერის მექანიზმი AXENT 1728-A	ცალი	20	0,30	6.00
8	საქაღალდე სწრაფჩამკერი პლასტ. PAPIRUS ECONOMIX A4 31510-04 GREEN	ცალი	10	0,50	5.00
9	მარკერი დაფის PAPIRUS OPTIMA 16207 Black	ცალი	10	0,90	9.00
10	მარკერი ხატვის AXENT 2570-21-A, 2,4-2,8მმ თეთრი	ცალი	5	2,70	13.50
11	კონვერტი დიპლომატი თეთრი105*240 110გრ	ცალი	10	0.10	1.00
12	კონვერტი A4 თეთრი 229*324 110გრ	ცალი	20	0,35	7.00
13	გამომთვლელი PAPIRUS OPTIMA 75507	ცალი	1	20.90	20.90
14	კორექტორი კალამი AXENT 8მლ. 7002-A	ცალი	5	1,10	5.50

15	კორექტორი ლენტით AXENT 5მმ*6მ. 7009-A	ცალი	2	1,20	2.40
16	ჭიკარტი DELI 39736 ოქროსფერი	კოლოფი	5	0.75	3.75
17	ჭიკარტი მრავალჯერადი AXENT 30ც. 4203-A	კოლოფი	10	0.60	6.00
18	ქაღალდი ქსეროქსის ფერადი A4 80გრ. 100ფ. MIX	შეკვრა	1	5,50	5.50
19	ქაღალდი ხაზვის GOZNAK/COTI A3 200გრ. 1ფ.	ცალი	10	0.50	5.00
20	დირაკოლი AXENT 3930-02-A 30ფ. ლურჯი	ცალი	1	11,90	11.90
21	საქაღალდე პლანშეტი პლასტ. PAPIRUS ECONOMIX A4 30153	ცალი	2	3.20	6.40
22	დროშა ნაჭრის საქართველოს 100*65სმ. თხელი	ცალი	2	10.00	20.00
23	სკოჩი გამჭ. 45მმ/40მ/45მკ LAMIGO	ცალი	4	1.50	6.00
24	სკოჩი ქაღალდის 44მმ/20მ LAMIGO	ცალი	2	2.90	5.80
25	ბეიჯი სამაგრით AXENT 4500H-02-A ჰორიზონტალური, ლურჯი	ცალი	10	1.40	14.00
26	ბეიჯის სამაგრი AXENT 4533-02-A ლურჯი	ცალი	10	0,40	4.00
27	ბეიჯის სამაგრი AXENT 4531-01-A black	ცალი	10	0.50	5.00
x	სულ ჯამი	xxxxxxxxxx	xxxxxxxxxx	xxxxxxxxxxxxxx	243.55

(ორასორმოცდასამი) ლარი და 55 თეთრი

სსიპ ქალაქ ქუთაისის # 6 საჯარო
სკოლის დირექტორის მ.შ. /დიმიტრი ქარსელაძე/

შპს ,,ორგსერვისის“-ს /ხვიჩა ნემსაძე/
დირექტორი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.ქუთაისი 2022 წელი,

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ ქალაქ ქუთაისის N 6 საჯარო სკოლა და ,,შ.პ.ს ორგსერვისი“ შესყიდვის მიზნით 2022 წლის მაისის თვეში გაფორმებული N8 ხელშეკრულებიდან გამომდინარე გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს

სსიპ ქალაქ ქუთაისის N6 საჯარო

სკოლის.დირექტორის მ/შ: / დიმიტრი ქარსელაძე/

შპს ორგსერვისის დირექტორი: / ხვიჩა ნემსაძე/